



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული  
განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა -  
I და II რანგის „მოხელის მენეჯერული უნარები“

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია

#### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ლიკა გიორგაძე, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

წევრი:

გულიკო კაჟაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

თბილისი  
2019

## ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი	206348987

## ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“
საათების რაოდენობა	33
სწავლების მეთოდი/ ფორმა	ცელექტრონული კურსი ფაკულტატურული კურსი
პროგრამის სტატუსი (ახალი/აკრედიტებული)	ახალი

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის მოპოვების მიზნით სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის (შემდეგში დაწესებულება/აკადემია) მიერ წარმოდგენილი მოხელის მენეჯერული უნარების კურსი (შემდეგში - პროგრამა) განკუთვნილია I და II რანგის პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის. კურსის მიზანს წარმოადგენს ახლადდანიშნული საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელ მოხელის გათვითცნობიერება საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებში და მისი საბაზისო მენეჯერული უნარების განვითარება. ამ მიზნით, თავისებურებებში და მისი საბაზისო მენეჯერული უნარების განვითარება. ამ მიზნით, პროგრამის ამოცანებია, ტრენინგის მონაწილეებს განუვითაროს კომუნიკაციის უნარი, გააცნოს საჯარო სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურა და პროცესები, აუმაღლოს ცნობიერება ცვლილებების მართვის, საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის საკითხებსა და საჯარო სამსახურში დამკვიდრებულ ღირებულებებში.

სწავლების ფორმად შერჩეულია:

- საკლასო მეცადინეობა, რაც გულისხმობს ტრენინგის თანდასწრებით მეცადინეობას ლექციის, სემინარისა და სხვა ფორმატში;
- სწავლა კეთებით, რაც გულისხმობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებას.

კურსი მოიცავს 33 საკონტაქტო საათს და ითვალისწინებს სტრატეგიული მართვა-დაგეგმვის (სტრატეგიული მენეჯმენტი, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნებისა და საგეგმვის (შემუშავება), მომსახურებისა და ხარისხის მართვის, რისკების და სამოქმედო გეგმების მართვის, გადაწყვეტილების მიღების, ლიდერობისა და მართვისა და ცვლილებების მართვის, გენდერული თანასწორობისა გუნდის მართვის, გუნდის გაძლიერებისა და მოტივირების, გენდერული თანასწორობისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის, პროფესიული კომუნიკაციის, ეფექტური კომუნიკაციისა და ეფექტური მოლაპარაკებების, მედიასთან ურთიერთობისა და საჯარო გამოსვლის, საჯარო სამსახურის ეთიკის, კონფლიქტების მოვარების, ორგანიზაციული კულტურის, ანტიკორუფციული პოლიტიკის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებების საკითხებს და ემსახურება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით შესაბამისი რანგისათვის (I - II) განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებას.

ვროგრამის თანახმად, კურსი გავლილად ჩაითვლება და სერთიფიკატი გაიცემა საკონტაქტო საათებზე არანაკლებ 80%-იანი დასწრების და კურსის დასასრულს დადგებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მოსალოდნელია, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით შესაბამისი რანგისათვის (I - II) განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებას.

შიდასაგრძელო პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

„პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ვიზიტის „შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 7 აგვისტოს N693 ბრძანების შესაბამისად, დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ლიკა გიორგაძე, წევრი - გულიკო კაჟაშვილი, ბრძანებით ვიზიტის დღეებად განისაზღვრა 2019 წლის 13 აგვისტო ქალაქ თბილისში, ხოლო 15 აგვისტო - ქალაქ ბათუმში. მუშაობა წარიმართა ამავე განრიგით.

ნოლო 15 ავგუსტი - კადარია მარტინ ცეკვა

მიხედვით, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით შეისწავლა დაწესებულების სხვა დოკუმენტები. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან დღის წესრიგის მცირედი მოდიფიცირებით, მოწყობით დაწესებულების ფართის გორგასლის ქ. №10 და ვ. ვიზუალური დათვალიერება ქ. თბილისის ორ მისამართზე: ვ. გორგასლის ქ. №16-ში. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოინახულა ქალაქ ბათუმში ნინოშვილის გორგასლის ქ. №32-ში დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართი და ბაქოს ქუჩა №8-ში ქ. №32-ში დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართი და ბაქოს ქუჩა №8-ში მდებარე სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფართი, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გავლის საშუალება უნდა მიეცეთ სპეციალური საჭიროების მქონე პირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ვიზიტის ფარგლებში, ნაკლებად ინფორმაციულია, თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპერტებს აკრედიტაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზიტის ფარგლებში განახლებით შესწავლილი დოკუმენტაციის, აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან დამატებით შესწავლილი დოკუმენტაციის და ვიზიტის ფარგლებში და პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან გასაუბრების შედეგად მიეცათ დაწესებულების პროგრამის და რესურსების შესწავლის საშუალება. ამასთან, აკადემიის წარმომადგენლებს განეხმარტათ, რომ სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს თვითშეფასების პროცესს, რაც მათ საკუთარი რესურსების უკეთ შეფასების და საჭიროებების გამოკვეთის საშუალებას მისცემს.

დაწესებულების პერსონალს, ვიზიტის ფარგლებში, შემაჯამებელ შეხვედრაზე, მიეწოდა ინფორმაცია ექსპერტთა ძირითადი მიგნებების შესახებ.

#### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე, აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით;
- მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;
- მიზანშეწონილია, ტრენერებთან გაფორმებულ შეთანხმებებში ასახული იყოს ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, ტრენერებთან დამატებითი კომუნიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობის მიზნობრივად გაზრდა, დადგენილებით განსაზღვრული საკონტაქტო საათების რაოდენობის ფარგლებში;
- სასურველია, შესწორდეს პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები;

- სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმამ მიიღოს მეტად ფორმალიზებული ხასიათი და დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად;
- სასურველია სწავლის შედეგების გასაზომად შერჩეული შეფასების მეთოდის და ფორმის გადახედვა, რადგან ცალკეული სწავლის შედეგების შეფასება წერითი ტესტით რთულია და ამასთან, პროგრამაში ჩართულ ტრენერებს აქვთ საინტერესო და ადეკვატური ხედვები, როგორი ფორმით და მეთოდით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა;
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმის გაითვალისწინოს მონაწილეთა მიერ შესრულებული წერილობითი ნამუშევრების (ტესტები) შედეგების ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
- სასურველია, მემორანდუმის ტექსტში დაფიქსირებული იყოს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის კონკრეტული ფართი (ოთახი/ოთახები), რომელშიც საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ტრენინგი. აღნიშნული საკითხის წინასწარი შეთანხმება ხელს შეუწყობს მომავალში ტრენინგის ორგანიზებულად განხორციელებას;
- ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემის მიზნებისთვის გაიცეს ერთი სახის სერთიფიკატი, რაც გამოყენებული იქნება საჯარო სამსახურის სისტემაში შესაბამისი მიზნით. ამ მიზნით, რეკომედირებულია, დაწესებულების სასწავლო შესაბამისი ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. აღნიშნული, თავის პროცესის ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. აღნიშნული, თავის მხრივ, დაწესებულებას არ ზღუდავს, მონაწილეებზე დამატებით გასცეს განსხვავებული სერთიფიკატიც;
- სასურველია შეეცვალოს ფორმულირება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2.3 პუნქტში მითითებულ „მოისმინას“ სახის სერთიფიკატს, რადგან მისი გაცემა გათვალისწინებულია პროგრამის მსმენელის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- სასურველია, ტრენინგის მეთოდოლოგის სახელმძღვანელომ მკაფიოდ გაითვალისწინოს სამიზნე ნიშნულების დადგენის და მისი გაუმჯობესების მექანიზმი.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ლიკა გიორგაძე (თავმჯდომარე)
2. გულიკო კაუაშვილი (წევრი)

## პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. პროგრამის შინაარსი

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის საჭიროებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დამტკიცებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის დადგენილებით (შემდგომში – დადგენილება) განსაზღვრულ მოთხოვნებთან. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტები, სწავლის მეთოდები და შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას აქვს ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც ეყრდნობა ზრდასრულთა სწავლების ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს და ითვალისწინებს შესაბამის ფსიქო-სოციალურ ასპექტებს, განსაზღვრავს ტრენერის შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპებს და პროცედურებს, ადგენს ტრენინგის განხორციელებისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული საჭიროებების (ლოჯისტიკა) განსაზღვრის, ადმინისტრირების, დაგეგმვის, ორგანიზებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

პროგრამა დამტკიცებულია სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის 2019 წლის 3 ივლისის №23 149 ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფმა ქვესტანდარტთან მიმართებით იხელმძღვანელა დაწესებულების აკრედიტაციის ქვესტანდარტთან მიმართებით იხელმძღვანელობის განხილული მიდგომებით, ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში განხილული მიდგომებით, აკრედიტაციის განაცხადთან ერთად წარმოდგენილი დოკუმენტებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან (ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამაში ჩართული ტრენერები) გასაუბრებით. მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ აკრედიტაციის ტრენერები გასაუბრებით. მიღებული ინფორმაციით დადასტურდა, რომ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულებაში არსებული პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

### ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“;
- ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ ტრენერებთან.

### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### **შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

□ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის შემუშავება/განვითარება თანამონაწილეობითი პროცესია, რომელშიც უზრუნველყოფილია დაინტერესებულ პირთა ჩართულობა.

#### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის შემუშავება განხორციელდა აკადემიის თანამშრომლების და პროგრამაში ჩართული ტრენერების მიერ. პროგრამაზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლების ჩართულობით გამართული სხვადასხვა სამუშაო შეხვედრისას გამოთქმული მოსაზრებები და შემუშავებული რეკომენდირებული მიდგომები, რა გზითაც უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. გარდა აღნიშნულისა, აკადემიის გადაწყვეტილებით, პროგრამის შემუშავებაში უშუალოდ იყვნენ ჩართულები (ტრენერების სახით) პირები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანური რესურსების განვითარებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს საჯარო სამსახურში. პროგრამის შემუშავების მიზნით, შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორჯერ შეიკრიბა და იმსჯელა პროგრამის შინაარსობრივ საკითხებზე. სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგები ასახულია პროგრამაში.

#### **ინდიკატორები:**

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახევლი ფოტო მასალა;
- სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი ოქმები;

- გასაუბრება აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

#### **რეკომენდაციები:**

- არ საჭიროებს.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### **შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

#### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულების ვებგვერდზე (<http://mofacademy.ge>) განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარების“ - შესახებ. კერძოდ, მითითებულია: პროგრამის მიზნები და ამოცანები, სასწავლო მოდულის შესწავლის და დაშვების წინაპირობები, სწავლების ფორმა, ტრენინგის ფორმატი, ტრენერები, ხელმისაწვდომი რესურსები, მეთოდიკა, ტრენინგის ჩატარების გარემო, მასალა თითოეული საკითხისთვის, თემატიკა, შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგები და კომპეტენციები. ვებგვერდზე განთავსებული საინფორმაციო დოკუმენტი ასევე მოიცავს ინფორმაციას შეფასების მეთოდების, კურსის და სწავლების შედეგების შეფასების კრიტერიუმების/გეგმის და სერტიფიკატის გაცემის პირობების შესახებ.

კრიტერიუმების და ინდიკატორების სახით გათვალისწინებულია პრე და პოსტტესტირებების/შეფასებების ანალიზი, რომელიც ზომავს ჯგუფის პროგრესს. მეორე მხრივ, მონაწილეთა ცოდნის გაუმჯობესების ხარისხის თვითშეფასებამ უნდა აჩვენოს ჯგუფის პროგრესი სულ მცირე 5 ერთეულით (50%). ასევე, გათვალისწინებულია უკუკავშირის კითხვარი (თვითშეფასება), რომელიც ივსება კურსის ბოლოს, როდესაც მონაწილეები აფიქსირებენ საკუთარ სუბიექტურ აღქმებზე დაყრდნობით პროგრამის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ცოდნის გაუმჯობესების ხარისხს, 10 ქულიანი სკალის მეშვეობით.

აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, რა გზითაც უზრუნველყოფილია პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

#### ინდიკატორები:

- აკადემიის ვებგვერდი: <http://mofacademy.ge/What-do-you-offer/sajaro-mokheleta-sabaziso-programebi/me-3,-me-4-kategoriis-sajaro-mokheleta-programa.aspx>

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და ლოგიკური; პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააკრედიტაციო განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესწავლილი დოკუმენტების და დაწესებულების პერსონალთან (ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროგრამაში ჩართული ტრენერები) გასაუბრებით მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, დადგინდა შემდეგი:

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარების“ პროგრამის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები;
- სწავლების ფორმა;
- სასწავლო კურსის ტიპი;
- კურსის გავლის წინაპირობები;
- მსმენელების რაოდენობა;
- სასწავლო დღეების რაოდენობა;
- სამიზნე ჯგუფი;
- პროგრამის განმახორციელებელი ტრენერები;
- სწავლების მეთოდები;
- შეფასების სისტემა;
- გამოყენებული ლიტერატურა;
- მოდულის სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
- სამუშაო დისციპლინა და სერთიფიკატის გაცემის წინაპირობები.

ამასთან, პროგრამას დანართის სახით ახლავს პროგრამის ფარგლებში შესასწავლი თემატიკის ჩამონათვალი, შესაბამისი თემატიკისათვისათვის გამოყოფილი საკონტაქტო საათების მითითებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სტრუქტურაში სხვადასხვა მიმართულებით შესასწავლი საკითხები საგნების სახით გამოყოფილი არ არის და არ ახლავს შესაბამისი სილაბუსები, თუმცა, საკითხები დაჯგუფებულია თემატურად და თანმიმდევრულად. კერძოდ:

კომუნიკაციის კომპონენტი (საკითხი №1 კომუნიკაცია) აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- 1.1 ეფექტური კომუნიკაცია (ვერბალური, არავერბალური)
- 1.2 კომუნიკაციის მოდელები და სტილი
- 1.3 კომუნიკაციის ტექნიკები და უნარები:
  - 1.3.1 რთული საუბრების წარმართვა და კონფლიქტების მართვა
  - 1.3.2 აქტიური მოსმენა
  - 1.3.3 დავალების მიცემა/დელეგირება
  - 1.3.4 კითხვის დასმის ტექნიკა
- 1.4 კომუნიკაცია როგორც მართვის ინსტრუმენტი
  - 1.4.1 რთული საუბრების წარმართვა და კონფლიქტების მართვა აქტიური მოსმენა

- 1.4.2 დავალების მიცემა/დელეგირება  
 1.4.3 კითხვის დასმის ტექნიკა  
 1.5 უკუკავშირი.

**ორგანიზაციის კომპონენტი (საკითხი №2 ორგანიზაცია) აერთიანებს შემდეგ საკითხებს:**

- 2.1 სტრატეგიული მართვა და დაგეგმარება  
 2.1.1 ქვეყნის პოლიტიკური კურსი და დარგობლივი პოლიტიკა  
 2.1.2 ორგანიზაციის ხედვა და მისია  
 2.1.3 ანალიზი, მიზნები და ამოცანები  
 2.1.4 ოპტიმალური დაგეგმვა  
 2.1.5 კოორდინაცია, ხარისხის მართვა  
 2.2 მენეჯერი და ლიდერი  
 2.2.1. გადაწყვეტილების მიღება  
 2.2.2. გუნდის მართვა  
 2.2.3. დელეგირება  
 2.2.4. მოტივაცია  
 2.3 პროცესების ოპტიმაზაცია  
 2.3 თანამედროვე ორგანიზაცია  
 2.3.1 ინოვაციები  
 2.3.2 ელექტრონული მმართველობა  
 2.3.3 ეფექტურობა  
 2.4. პრევენციის მექანიზმები და ინსტრუმენტები  
 2.4.1. კანონი  
 2.4.2. წახალისება  
 2.4.3. შეხვედრები და დისკუსიები  
 2.4.4. ტრენინგები და სწავლება  
 2.4.5. მხილება და სამოქალაქო საზოგადოება  
 2.4.5. დისციპლინური წარმოება

**ცვლილებების მართვის კომპონენტი (საკითხი №3 ცვლილებების მართვა) აერთიანებს შემდეგ თემებს:**

- 3.1 ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორები  
 3.2 ცვლილებების მართვა  
 3.2.1 ანალიზი  
 3.2.2 კომუნიკაციის სტრატეგია (შიდა და გარე)  
 3.2.3 დაგეგმვა  
 3.2.4 განხორციელება და მონიტორინგი  
 3.2.5 რისკების მართვა  
 3.2.6 ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილება

**ადამიანური რესურსების მართვის კომპონენტი (საკითხი №4 ადამიანური რესურსების**

მართვა) აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- 4.1 მართვისა და განვითარების სტრატეგიის მნიშვნელობა
  - 4.1.1 გუნდის განვითარება
  - 4.1.2 მოტივაცია
  - 4.1.3 ვაკანსიის შევსების დაგეგმვა (გადაყვანა, კონკურსი)
  - 4.1.4 გასაუბრება
- 4.2 შეფასება და პროფესიული განვითარება
- 4.3 გუნდის მართვა, დროის მართვა და თვით მართვა

საჯარო სამსახურში ღირებულებების კომპონენტი (საკითხი №5 ღირებულებები საჯარო სამსახურში) აერთიანებს შემდეგ საკითხებს:

- 5.1. საჯარო სამსახურის პრინციპები და ღირებულებები
- 5.2. ანტიკორუფციული პოლიტიკა
- 5.3. საჯარო სამსახურის ეთიკა
- 5.4. გენდერი
- 5.5. სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა
- 5.6. ინტერესთა შეუთავსებლობა
- 5.7. ორგანიზაციული კულტურა

ამასთან, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული კომპონენტები არ არის წარმოდგენილი სილაბუსების სახით, პროგრამის დოკუმენტში ვი წარმოდგენილია მხოლოდ თემების ჩამონათვალი და საათობრივი განაწილება, არ არის მითითებული თითოეული თემის შესასწავლად გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები და შეფასების მეთოდები. გვხვდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობებიც.

ექსპერტთა ჯგუფი, საკითხის შესასწავლად, გარდა აკრედიტაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტებისა, დაეყრდნო პროგრამაში ჩართულ ტრენინგებთან ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციას, ასევე, იხელმძღვანელა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი და შესწავლილი დოკუმენტით (განთავსებულია [დაწესებულების ვებგვერდზე](http://mofacademy.ge/getattachment/What-do-you-offer/sajaro-mokheleta-sabaziso-programebi/menejeruli-unarebis-programa/menejeruli-unarebis-programa.pdf.aspx): <http://mofacademy.ge/getattachment/What-do-you-offer/sajaro-mokheleta-sabaziso-programebi/menejeruli-unarebis-programa/menejeruli-unarebis-programa.pdf.aspx>), რომელიც შედარებით ინფორმატიულია და მოიცავს ინფორმაციას თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლებისა და შეფასების მეთოდების და აუცილებელი რესურსების შესახებ, იხელმძღვანელა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილების დანართით შესაბამისი რანგისათვის (I - II) განსაზღვრული საგნების ჩამონათვალით და კომპეტენციების აღმწერით და მთლიანობაში, პროგრამის კომპონენტები და პროგრამის სტრუქტურა, შეფასდა როგორც თანმიმდევრული და ლოგიკური, რომელის მოსალოდნელია, რომ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების და აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია ასევე აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში სტანდარტის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

#### ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“;
- დაწესებულების ვებგვერდი: <http://mofacademy.ge/getattachment/What-do-you-offer/sajaro-mokheleta-sabaziso-programebi/menejeruli-unarebis-programa/menejeruli-unarebis-programa.pdf.aspx>;
- გასაუბრება პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან.

#### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, თითოეული საკითხის ასათვისებლად გამოსაყენებელი სწავლების და შეფასების მეთოდების, ასევე, აუცილებელი რესურსების შესახებ ინფორმაცია აისახოს პროგრამის ოფიციალურ ვერსიაში და დამტკიცდეს განახლებული სახით.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შესწორდეს პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5. პროგრამის კომპონენტები უკავშირდება დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენას.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტები მიმართულია დადგენილებით განსაზღვრული შესაბამისი კომპეტენციების შეძენისკენ. კურსი მოიცავს 33 საკონტაქტო საათს და ითვალისწინებს სტრატეგიული მართვა-დაგეგმვის (სტრატეგიული მენეჯმენტი, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება), მომსახურებისა და ხარისხის მართვის, რისკების მართვისა და ცვლილებების მართვის, გადაწყვეტილების მიღების, ლიდერობისა და გუნდის მართვის, გუნდის გაძლიერებისა და მოტივირების, გენდერული თანასწორობისა და სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრის, პროფესიული კომუნიკაციის, ეფექტური კომუნიკაციისა და ეფექტური მოლაპარაკებების, მედიასთან ურთიერთობისა და საჯარო გამოსვლის, საჯარო სამსახურის ეთიკის, კონფლიქტების მოგვარების, ორგანიზაციული კულტურის, ანტიკორუფციული პოლიტიკის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებების საკითხებს და უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით შესაბამისი რანგისათვის (I - II) განსაზღვრული კომპეტენციების განვითარებას:

- ✓ ეფექტური კომუნიკაცია და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
- ✓ საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი;
- ✓ სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი;
- ✓ სტრუქტურული ერთეულისა და ინდივიდუალური ამოცანების დასახვის უნარი;
- ✓ ცვლილებების/სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი;
- ✓ თათბირებისა და შეხვედრების წარმართვის უნარი;
- ✓ მოხელის პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივირების უნარი;
- ✓ გუნდის განვითარების უნარი;
- ✓ პრობლემის გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

### ინდიკატორები

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“

### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

### **შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.6. პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნასთან.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ითვალისწინებს 33 საკონტაქტო საათს, ამასთან, მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობასაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს გათავისუფლებულია სამუშაო მოვალეობის შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში - 6 საკონტაქტო საათს.

პროგრამის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრენინგებთან გასაუბრებისას გამოითქვა ცალკეული მიმართულებით საკონტაქტო საათების გაზრდის სურვილი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

### **ინდიკატორები**

- პროგრამა - მოხელის მენეჯერული უნარები;
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ ტრენინგებთან.

### **რეკომენდაციები:**

- არ საჭიროებს.

### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

- სასურველია, ტრენინგებთან დამატებითი კომუნიკაცია და პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების რაოდენობის მიზნობრივად გაზრდა დადგენილებით განსაზღვრული რაოდენობის ფარგლებში.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია.

### **შეფასება**

○ გთხოვთ, შეფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

- 1.7. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალა და პროგრამის განხორციელების გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას:
- ა) სასწავლო მასალა შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს;
  - ბ) პროგრამის განხორციელების გეგმა შეიცავს ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფ(ების, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ).

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული ლიტერატურა შესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიხედვით რელევანტური მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს. ეს ბუნებრივია, რადგან სასწავლო ლიტერატურის სახით გათვალისწინებულია მრავალრიცხოვან ნორმატიული შინაარსის მასალა და აქტუალური სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები. კერძოდ: საქართველოს კონსტიტუცია • საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი • „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი • „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი • „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი • საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი • ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2016 • ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005 წელი • აღაპიშვილი ი., ცოცხალაშვილი თ., ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში, GIZ, 2015 • ადმინისტრაციული სამართალი - სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, თბილისი, 1/2013, 2/2016 • საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ - კომენტარები, თბილისი, GIZ, 2018 • აღაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო

დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის „შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება - კომენტარები, თბილისი, GIZ, 2018 • მაკალათია ე., ინტერესთა შეუთავსებლობა საჯარო სამსახურში, გზამკვლევი • იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009; ბუროუსი გ., აბაშიძე ზ., მუხიგული ქ., დუნდუა ს., ქარაია თ., დემოკრატია და მოქალაქეობა, USAID/IFES/CELA, თბილისი, 2017 • ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოები, საჯარო სამსახურის ბიურო; • „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის შემუშავებული არ არის. ასეთი რესურსის შექმნა კი აუცილებელია, გამომდინარე იქდან, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უნდა მოხდეს მცირე დროში, რისთვისაც მსმენელებს უნდა მიეწოდოთ კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო მასალა.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, მომზადდეს სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რაც გაიზიარეს აკადემიის წარმომადგენლებმაც. ვიზიტის მიმდინარეობისას აღინიშნა, რომ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე სასწავლო მასალები სხვა სახით მომზადდება და პროგრამის მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან აღნიშნული რესურსებით, რაც ერთი მხრივ მათ საშუალებას მისცემს კონკრეტულ, მიზნობრივ საკითხებზე გააკეთონ აქცენტი და ამასთან, მითითებული ექნებათ ისეთი სასწავლო მასალებიც, რომელიც შესაძლებლობას მისცემთ, დამოუკიდებლად გაიღრმავონ ცოდნა, საჭიროების შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სტანდარტის მოთხოვნა ამ ნაწილში მეტწილად დაკმაყოფილებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას არ ახლავს პროგრამის განხორციელების გეგმა, როგორც დამოუკიდებლად არსებული დოკუმენტი, ასეთივე სათაურით, თუმცა, ვიზიტის ფარგლებში დამატებით შესწავლილი დოკუმენტით (რომელიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე. იხ. შესაბამისი ინდიკატორი), მითითებულია ინფორმაცია მიზნობრივი ჯგუფების, სასწავლო თემატიკის საათობრივი განაწილების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შესახებ. მოცემული საკითხების შესახებ ექსპერტთა ჯგუფი ასევე ესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს და პროგრამაში ჩართულ ტრენერებს და შესწავლილი დოკუმენტების და წარმოდგენილი პოზიციების გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ სტანდარტის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში დაკმაყოფილებულია.

#### ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“
- დაწესებულების ვებგვერდი: <http://mofacademy.ge/getattachment/What-do-you-offer/sajaro-mokheleta-sabaziso-programebi/menejeruli-unarebis-programa/menejeruli-unarebis-programa.pdf.aspx>;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან.

#### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსი პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმაში მიიღოს მეტად ფორმალიზებული ხასიათი და დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია.

#### შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან  
 არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.8. პროგრამა ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას, ხოლო უკუკავშირის შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.**

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიის რეგულაციები ითვალისწინებს მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას და უკუკავშირის შედეგების გამოყენებას პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის. წარმოდგენილი სააკრედიტაციო პროგრამა ახალია, თუმცა, ვიზიტის ფარგლებში, გარდა უკუგების ფორმებისა, ექსპერტთა ჯგუფს ასევე ჰქონდა საშუალება ენახა წარსულში განხორციელებული პროგრამების მონაწილეთა მიერ შევსებული უკუკავშირის ფორმები და აკადემიასთან სპეციალურად ამ მიზნით სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ შესაბამისი უკუგების ფორმების ანალიზის ამსახველი ანგარიშები, რაც ემსახურება პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას.

#### ინდიკატორები:

- პროგრამის მონაწილეთა უკუგების ფორმები;
- პროგრამის მონაწილეთა უკუგების ფორმების ანალიზის ამსახველი მასალა;
- დაწესებულების პერსონალის სამსახურებრივი ბარათები, რომელიც ადასტურებს, რომ ჰყავს პროგრამის მონაწილეთა უკუგების გაანალიზებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან.

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.9. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს:

- ა) სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით;
- ბ) პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების ადეკვატური ფორმები და მეთოდები, რომელიც მსმენელის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
- გ) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის

შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, დაწესებულების რესურსების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ აკადემია უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას მონაცემების განსაზღვრის, შეგროვების და ანალიზის გზით. სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, წინასწარ შედგენილი შეფასების გეგმის მიხედვით.

პროგრამით გათვალისწინებულია შეფასების სამი დონე:

- პირველ დონეზე ხორციელდება რეაქციის შეფასება (აღნიშნული წარმოადგენს მონაწილეთა სუბიექტურ შეფასებას, მათ დამოკიდებულებას ტრენინგის ხარისხისა და სარგებლივანობის შესახებ), რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი უკუკავშირის კითხვარი. აღნიშნული კითხვარი მოიცავს: კურსით ზოგადი კამაყოფილების შეფასებას, ტრენინგის გარემოს შეფასებას, ტრენერის შეფასებას, ტრენინგის პროცესის შეფასებას და ტრენინგის შინაარსის შეფასებას.
- მეორე დონეზე გათვალისწინებულია სწავლის შედეგების შეფასება. ამ ეტაპზე დაგეგმილია მონაწილეთა თვითშეფასების და ტესტირების განხორციელება, მათი ცოდნის და უნარების გაზომვის მიზნით და ტრენინგის შედეგების გაზომვა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს უკუკავშირის კითხვარის და ტესტების მეშვეობით.
- მესამე დონეზე უნდა განხორციელდეს ქცევის ცვლილების შეფასება. აღნიშნული ფაზა გულისხმობს პროგრამის გავლის შემდეგ არანაკლებ სამი თვის მანძილზე მოხელის ქცევაზე დაკვირვებას სამუშაო ადგილზე, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლილი დონეებიდან, სამივე ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, სერთიფიკატის გაცემის მიზნებისთვის შესაფერის შეფასების სახეს წარმოადგენს მეორე დონის შეფასება, რომელიც გარდა ტრენინგის შედეგების გაზომვისა, ზომავს პროგრამის მონაწილეთა ცოდნას და უნარებს. ამ ნაწილში შეფასების ფორმად და მეთოდად შერჩეულია 50 საკითხიანი წერითი ტესტი. თავის მხრივ, რომ შევაფასოთ, რამდენად ადეკვატურია შეფასების ფორმა და მეთოდი კონკრეტული სწავლის შედეგის გაზომვისათვის, საჭიროა ასევე გავეცნოთ ტესტს და დავრწმუნდეთ, რომ საკითხები სწორად არის შერჩეული და ტესტი მეთოდოლოგიურად სწორად არის შედგენილი. ვიზიტის ფარგლებში ასეთი ტესტის შესწავლა არ მომხდარა (აღნიშნული პირდაპირ არ წარმოადგენს სტანდარტის კრიტერიუმს), პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაცია მთლიანობაში ექსპერტებს მიაჩნიათ დამაკმაყოფილებლად, თუმცა, გასაუბრების ეტაპზევე გამოიკვეთა, რომ მართებულია შეფასების მეთოდის და ფორმის გადახედვა, რადგან ცალკეული სწავლის შედეგების შეფასება წერითი ტესტით რთულია და ამასთან, პროგრამაში ჩართულ ტრენერებს აქვთ საინტერესო და ადეკვატური ხედვები, როგორი ფორმით და მეთოდით შეიძლება

შეფასდეს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა.

დაწესებულების ტრენინგის სახელმძღვანელოს და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთილი წარსული პრაქტიკის ანალიზის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ სწავლის შედეგების ასეთი სახით შეფასების ანალიზი გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის, სწავლის შედეგების ან/და შეფასების სისტემის ცვლილებას.

ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების და გაუმჯობესების პროცესი არ ითვალისწინებს პროგრამის მონაწილეთა მიერ შესრულებული წერილობითი ნამუშევრების (ტესტები) შედეგების ანალიზს, რაც ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (მაგ. თუ წარმოჩინდა, რომ ნაკადის დიდმა ნაწილმა ვერ დაადასტურა სწავლის შედეგების მიღწევა რომელიმე კონკრეტული თემის შესახებ, აღნიშნული შეიძლება ასევე გახდეს შესაბამისი თემისათვის დათმობილი საათების რაოდენობის გაზრდის ან/და შეფასების მეთოდების ან სხვა მიმართულებით ცვლილებების განხორციელების მიზეზი).

#### ინდიკატორები:

- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“
- ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- ინტერვიუ პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან.

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მართებულია სწავლის შედეგების გასაზომად შერჩეული შეფასების მეთოდის და ფორმის გადახედვა, რადგან ცალკეული სწავლის შედეგების შეფასება წერითი ტესტით რთულია და ამასთან, პროგრამაში ჩართულ ტრენერების აქვთ საინტერესო და ადევნატური ხედვები, როგორი ფორმით და მეთოდით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა;
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმა გაითვალისწინოს მონაწილეთა მიერ შესრულებული წერილობითი ნამუშევრების (ტესტები) შედეგების ანალიზი და მისი შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

### **შეფასება**

ი გთხოვთ, შეფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.10. პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლისა (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგის საფუძველზე.**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი  
დამტკიცებულ პროგრამაში მითითებულია შემდეგი:**

მოდული ჩაითვლება გავლილად არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის შემთხვევაში (საკონტაქტო საათების მიხედვით) და პროგრამით გათვალისწინებული შეფასების მეთოდების შესაბამისად, პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასების შედეგ, რა შემთხვევაშიც გაიცემა სერტიფიკატი.

ასევე, დაწესებულებას აქვს „სასწავლო პროცესის ინსტრუქცია“, რომელის თავი VII განსაზღვრავს სასწავლო პროექტის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის პირობებს. აღნიშნული ინსტრუქციით, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის მიზნებისთვის კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემისათვის აუცილებელ პირობად გათვალისწინებულია არანაკლებ 80%-იანი დასწრების მაჩვენებლის (საკონტაქტო საათების მიხედვით) და ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2.1-2.4 პუნქტებს დაკმაყოფილების საფუძველზე, რომელიც აწესებს შემდეგს:

„2. აკადემიის სერტიფიკატის გაცემა:

2.1. სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი ოქროსფერი კლიშეთი მონაწილეს გადაეცემა სასწავლო პროექტში ჯამურად 90-100 პროცენტის დაგროვების შემთხვევაში.

2.2. სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი ვერცხლისფერი კლიშეთი მონაწილეს გადაეცემა სასწავლო პროექტში ჯამურად 70-89 პროცენტის დაგროვების შემთხვევაში.

2.3. სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი „მოისმინა“ მონაწილეს გადაეცემა სასწავლო პროექტში ჯამურად 40-69 პროცენტის დაგროვების შემთხვევაში.

2.4. ტრენინგურსის დასრულების შემთხვევაში, როდესაც მიღებული შეფასება აღემატება 75 პროცენტს, მსმენელს გადაეცემა „მონაწილეობის“ დამადასტურებელი სერტიფიკატი.

დაწესებულების წარმომოადგენლების განმარტებით, პროგრამის გავლის სერთიფიკატების ასეთი დიფერენციაცია წარმოადგენს მსმენელის მოტივირების კარგ საშუალებას, რასაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფიც, თუმცა, მიზანშეწონილად მიაჩნია, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემის მიზნებისთვის გაიცეს ერთი სახის სერთიფიკატი, რაც გამოყენებული იქნება საჯარო სამსახურის სისტემაში შესაბამისი მიზნით. აღნიშნული, ცხადია, დაწესებულებას არ ზღუდავს, მონაწილეებზე დამატებით გასცეს განსხვავებული სერთიფიკატიც.

#### ინდიკატორები:

- „სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი ინსტრუქცია“ (დამტკიცებულია ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის №64 ბრძანებით)
- პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა - „I და II რანგის მოხელის მენეჯერული უნარები“;
- გასუბრება დაწესებულების პერსონალთან.

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების სისტემის მიზნებისთვის გაიცეს ერთი სახის სერთიფიკატი, რაც გამოყენებული იქნება საჯარო სამსახურის სისტემაში შესაბამისი მიზნით. ამ მიზნით, რეკომედირებულია დაწესებულების სასწავლო პროცესის ინსტრუქციაში შესაბამისი ცვლილების შეტანა. აღნიშნული, თავის მხრივ, დაწესებულებას არ ზღუდავს, მონაწილეებზე დამატებით გასცეს განსხვავებული სერთიფიკატიც;
- სასურველია შეეცვალოს ფორმულირება დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის 2.3 პუნქტში მითითებულ „მოისმინას“ სახის სერთიფიკატს, რადგან მისი გაცემა გათვალისწინებულია პროგრამის მსმენელის მიერ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

### შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
პროგრამის შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

2.1. სწავლებას ახორციელებს სათანდო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები (შემდგომში – ტრენერი):
ა) ტრენერს აქვს პროგრამის სასწავლო კომპონენტის შესაბამისი: 1) აკადემიური უმაღლესი ან მასთან გათანაბრებული განათლება, ან შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება; და 2) ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;
ბ) ტრენერთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ან წინასწარი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები;
გ) ტრენერს არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ, ტრენერი არ შეიძლება იყოს პირი, რომლის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებამაც შეიძლება პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა მოახდინოს აკრედიტაციის პროცესის მიუკერძოებლად და ობიექტურად განხორციელებაზე.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება ტრენერების განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №46/ნ ბრძანებით დადგენილ სტანდარტებთან.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ყველა ტრენერთან გაფორმებულია შეთანხმება კონკრეტულ (ტრენინგის თემა და საათობრივი ხანგრძლივობა) ტრენინგთან დაკავშირებით.

ტრენერთან გაფორმებულ შეთანხმებაში მითითებული არ არის ტრენინგის ჩატარების კონკრეტული ლოკაცია, თუმცა ინტერვიუს დროს დადგინდა რომ ტრენერებს აქვთ ინფორმაცია სხვა და სხვა ლოკაციაზე (თბილისი, ბათუმი) ტრენინგის განხორციელების თაობაზე და აქვთ შესაბამისი მზაობა.

ტრენერთა პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციის ანალიზის და გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს.

### ინდიკატორები

- ტრენერთა პირადი საქმეები;
- ტრენერებთან გაფორმებული შეთანხმებები;
- ინტერვიუს შედეგები.

### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, ტრენერებთან გაფორმებულ შეთანხმებებში ასახული იყოს ტრენინგის განხორციელების კონკრეტული მისამართები.

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგამა ახალია.

### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები ოპტიმალურად არის განაწილებული:

- სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ აღემატება 20 ადამიანს;
- მსმენელის დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლების საკლასო მეცადინეობის მეთოდით/ ფორმით განხორციელების შემთხვევაში, ერთი ნაკადის მსმენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 ადამიანს; მსმენელის დატვირთვის შესახებ კი აღნიშნულია, რომ დატვირთვა არ აღემატება სამუშაო დღეებში 4 საკონტაქტო საათს, თუ მსმენელი იმავე დღეს ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებსაც, ხოლო თუ მსმენელი სამუშაო დღეს განთავისუფლებულია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისაგან ან დატვირთვა გათვალისწინებულია არასამუშაო დღეებში – 6 საკონტაქტო საათს. დაწესებულების მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერებით კი დადგინდა, რომ თბილისის ბაზაზე შესაძლებელია ერთდღოულად მხოლოდ 1 ჯგუფის მიღება, თუმცა დღის განმავლობაში 2 ჯგუფის გადამზადებაა შესაძლებელი. დაწესებულების მფლობელობაში არსებული ქ. ბათუმის ფართის ვიზუალური დათვალიერებით და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით კი დადგინდა, რომ შენობაში არის 20-20 მსმენელზე გათვლილი 4 დამოუკიდებელი სატრენინგო ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი აპარატურით და ტრენინგის განსახორციელებელი ინვენტარით. ესპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულების რესურსები ამ თვალსაზრისით ოპტიმალურად არის განაწილებული.

#### ინდიკატორები:

- ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არ საჭიროებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### **შეფასება**

□ გთხოვთ, შეფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. დაწესებულებას შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების დემონსტრირება:

ა) არსებობს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;

ბ) შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც რეალისტური და გაზომვადია;

ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შესაბამება პროგრამის საჭიროებებს;

გ) ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს;

დ) რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის;

ე) არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან არსებობს წერილობითი შეთანხმება, საჭიროებიდან გამომდინარე, ფართით დროებითი სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ.

#### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შესწავლილი დოკუმენტაციის და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებიტ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ აკადემიას აქვს პროგრამით

გათვალისწინებული აქტივობების (დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები. აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ:

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის დოკუმენტაცია, რომლიდანაც დგინდება, რომ ტრენინგი განხორციელდება სხვადასხვა ლოკაციებზე ქ. თბილისა და ქ. ბათუმში. ქ. თბილისში ტრენინგის განხორციელება იგეგმება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე არსებულ საკონფერენციო დარბაზში, მდებარე ქ. თბილისი, გორგასლის N16. ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა რომ საკონფერენცი დარბაზი აკმაყოფილებს უსაფრთხოების ყველა მოთხოვნას და ასევე უზრუნველყოფილია სსმ პირებისთვის საჭირო გარემო. საკონფერენციო დარბაზი აღჭურვილია პროექტორით, საკანცელარიო დაფით და ტრენინგის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარით. საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა დასტურდება უფლებამოსილი სუბიექტის მიერ გაცემული თანხმობით, რაც თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს.

ქ. ბათუმში ტრენინგის განხორციელებას ფინანსთა სამინისტროს აკადემია გეგმავს ბაქოს ქ. N 8-ში, რომელიც არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში, ხოლო ფინანსთა სამინისტროს აკადემიას აღებული აქვს სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით. აკრედიტაციის მაძიებელს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აქვს რომ ქ. ბათუმში ტრენინგში სსმ პირების მონაწილეობის შემთხვევაში, ტრენინგი განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში და წარმოდგენილია მემორანდუმი უნივერსიტეტისა და აკადემიას შორის. ვიზიტის დროს მოხდა უნივერსიტეტის აუდიტორიების დათვალიერება და ადაპტირებული გარემოს შემოწმება, რითიც დასტურდება დაწესებულების მფლობელობაში არსებული ფართების სტანდარტებთან შესაბამისობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მემორანდუმში დაფიქსირებული არ არის კონკრეტული ფართი (ოთახები), რომელითაც უნდა ისარგებლოს აკადემიამ. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, შეთანხმების თანახმად შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ შენობის წებისმიერი ნაწილით.

დაწესებულებას მიერ აკრედიტაციის განაცხადით წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი რეალისტური და გაზომვადია, მოიცავს ტრენერის მომსახურების, ადონისტრაციული, ღონისძიების ორგანიზებისა და სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯების ნაწილს. ასევე ბიუჯეტით წარმოდგენილია ტრენინგის ღირებულება 1 მსმენელზე როგორც ბათუმში ასევე თბილისში. ბათუმში ჩასატარებელი ტრენინგის ტრენერების მომსახურების ხარჯი მეტია ვიდრე თბილისში, რაც გამოწვეულია ტრენერების მივლინების დამატებითი ხარჯიდან გამომდინარე.

აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები შესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს, ინტერვიუს დროს დადასტურდა

ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის მზაობა ტრენინგის განხორციელების პროცესში. დაწესებულებაში არსებობს შემუშავებული შიდა დოკუმენტი რომელიც თვალიათლივ აღწეს ტრენინგის განხორციელების თითოეული ეტაპზე, ადმინისტრაციის სხვადასხვა რგოლის ვალდებულებებს. ქ. ბათუმში ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილია 1 თანამშრომლით, თუმცა შესაბამისი პირის განმარტებით ტრენინგების განხორციელების შემთხვევაში მოხდება შტატგარეშე თანამშრომლის აყვანა. ადმინისტრაციულ პრესონალს აქვს მსგავს სიტუაციაში საქმიანობის დიდი გამოცდილება. შესაბამისად მათი ფუნქციები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებსა და საჭიროებებს.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ არსებობს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების სრულყოფილად განხორციელების უზრუნველყოფისთვის საჭირო ფართი, სადაც დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები, მათ შორის, არსებობს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე ჰირებისთვის, დაწესებულების რესურსები ხელმისაწვდომი და გამოყენებადია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის; ფართის მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააკრედიტაციო ვიზიტის ყველა ლოკაციაზე დაცულია ჰიგიენისა და უსაფრთხოების ნორმები.

ამდენად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ დაწესებულებას აქვს პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება) განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი.

#### ინდიკატორები:

- დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობები;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების/საკადრო ბრძანებების ნიმუშები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის შორის გაფორმებული მემორანდუმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერება;
- გასაუბრება დაწესებულების პერსონალთან.

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მემორანდუმის ტექსტში დაფიქსირებული იყოს სსიპ - ზათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის კონკრეტული ფართი (ოთახი/ოთახები), რომელშიც საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება ტრენინგი. აღნიშნული საკითხის წინასწარი შეთანხმება ხელს შეუწყობს მომავალში ტრენინგის ორგანიზებულად განხორციელებას.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- პროგრამა ახალია.

### **შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტტილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4. მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება ითვალისწინებს უკუკავშირს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ადგენს სამიზნე ნიშნულებს და ზრუნავს მათ გაუმჯობესებაზე.**

### **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულების ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო ითვალისწინებს ტრენინგის შეფასების მრავალმხრივ მეთოდოლოგიას, რომელიც ასევე მოიცავს მსმენელის მიერ დაწესებულების ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

უკუკავშირის ფორმები ითვალისწინებს მონაწილეთა მიერ სატრენინგო ადგილის (მაგიდები, სკამები), სატრენინგო აღჭურვილობის და სატრენინგო სივრცის ადგილმდებარეობის შეფასებას 5 ბალიანი სკალით.

ტრენერის შეფასების ფორმა ითვალისწინებს ტრენერის ზოგად შეფასებას, 5 ბალიანი სკალით. ამასთან, პროგრამის მსმენელს საშუალებას აძლევს, შეაფასოს ტრენერის კომეტიურობა შესაბამის სფეროში, სესიის ორგანიზება, გადმოცემის სტილი, თანამშრომლობა ჯელთან, სასწავლო კლიმატის შექმნა, დისკუსიის გაძლოლა, კითხვებზე პასუხის გაცემა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ენახა შესაბამისი კითხვარების ანალიზის ამსახველი მასალაც, რომელსაც უზრუნველყოფს სპეციალურად ამ მიზნით აყვანილი თანამშრომელი. სამიზნე

ნიშნულისაგან განსხვავებული არასასურველი შედეგების შემთხვევაში მუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და იგეგმება საჭირო ღონისძიებები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამიზნე ნიშნულის დადგენის და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვის შესახებ პირდაპირ და მკაფიოდ არ არის გათვალისწინებული ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში.

#### ინდიკატორები

- ტრენინგის დაგეგმვის სახელმძღვანელო (გვ.161-166)
- ტრენინგის შემდგომი შეფასება ISO 9001

#### რეკომენდაციები:

- არ საჭიროებს.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, ტრენინგის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელომ მკაფიოდ გაითვალისწინოს სამიზნე ნიშნულების დადგენის და მისი გაუმჯობესების მექანიზმი.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამა ახალია.

#### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

#### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
-----------	-----------------------------------------------	-----------------------------------------------------------	---------------------------------------------------------

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--------------------------------------------------------	-------------------------------------	--------------------------	--------------------------

